

**საქართველოს მთავრობის
დადგენილება**

N 3

2008 წლის 9 იანვარი

ქ. თბილისი

**“ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში
საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა
რეპატრიაციის შესახებ” საქართველოს კანონის მიზნებისათვის
ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის
ამსახველი დოკუმენტის ფორმის დადგენის თაობაზე**

1. “ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად აღნიშნული კანონის მიზნებისათვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტის ფორმად განისაზღვროს “ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის შევსების წესისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის ფორმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 9 აგვისტოს N338/ნ ბრძანების პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტით დამტკიცებული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა IV-100/ა) ფორმა, ხოლო იმ პირისათვის, რომელიც არის უცხო ქვეყნის მოქალაქე ან კანონიერ საფუძველზე ცხოვრობს უცხო ქვეყანაში – შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

2. დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნული ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტი აუცილებლად უნდა შეიცავდეს აგრეთვე ინფორმაციას შემდეგი დაავადებების თაობაზე:

დაავადების ICD-10 კოდი	დაავადების დასახელება
B20-B24	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (აივ) გამოწვეული ავადმყოფობა არ იგულისხმება აივ-ვირუსით გამოწვეული უსიმპტომო ინფექციური სტატუსი Z21
A30	კეთრი – ჰანზენის ავადმყოფობა იგულისხმება mycobacterium leprae-ით გამოწვეული ინფექცია; არ იგულისხმება კეთრის შედეგები B92
A15-A19	ტუბერკულოზი იგულისხმება: ინფექციები, გამოწვეული

	<p>mycobacterium tuberculosis-ით და mycobacterium bovis-ით;</p> <p>არ იგულისხმება: თანდაყოლილი ტუბერკულოზი (P37.0), პნევმოკონიოზი, დაკავშირებული ტუბერკულოზთან (J65), ტუბერკულოზის შედეგები (B90), სილიკოტუბერკულოზი (J65)</p>
A-50-53, A55, A57	<p>უპირატესად სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (ათაშანგი, ქლამიდიური ლიმფოგრანულემა (ვენერიული) შანკროიდი</p>
F00-F02, F10-F19, F20, F71-F73	<p>ფსიქიკური დაავადებები (დემენცია, ფსიქოპათიურ ნივთიერებათა მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი, შიზოფრენია, გონებრივი ჩამორჩენილობა).</p>

3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ვლადიმერ გურგენიძე